

საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება (ორმაგი მოქალაქეობა)

საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებასთან დაკავშირებით საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა

- **განცხადება** საქართველოს პრეზიდენტის სახელზე (განცხადება შევსებულ უნდა იქნას სრულყოფილად თითოეულ პუნქტში მითითებული კითხვის შესაბამისად და ხელმოწერილი);
- გვარის ან სახელის ცვლილების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქორწინების მოწმობის ასლი ან დოკუმენტი რის საფუძველზეც მოხდა სახელის/გვარის ცვლილება. გემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა იყოს ნათარგმნი და აპოსტილით დამოწმებული (აშშ-ს შესაბამისი დაწესებულების მიერ). თუ ქორწინების მოწმობაში არ ჩანს სახელის ან გვარის ცვლილება, შესაბამისი უწყებიდან უნდა მოიგნოთ ცნობა იმის თაობაზე, რომ თქვენ გვარი შეიცვალეთ ქორწინების საფუძველზე ეს დოკუმენტიც საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას; ასევე, უცხოური პასპორტის ნათარგმნი ასლი (ადგილსამყოფელი ქვეყნის სანოტარო ბიუროში დამოწმებული);
- დაბადების მოწმობის ასლი (თუ მოქალაქეობის მინიჭების მსურველი დაბადებულია სამღვარგარეთ და აქვს აღნიშნული დოკუმენტი), ხოლო არასრულწლოვანი პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევაში - პირის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა (შესაძლებელია ადგილზე თანხმობის გაკეთება და ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა); ორივე შემთხვევაში, დაბადების მოწმობა დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით.
- პასპორტის ან მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი;
- 2 ცალი პასპორტის ფოტო სურათი (ზომა 3X4 სმ, დაბეჭდილი);
- საქართველოს მოქალაქის **ფიცი**;
- საქართველოს ორი მოქალაქის **რეკომენდაცია**, რეკომენდატორების საქართველოს პასპორტების ან პირადობის მოწმობების ასლები;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების აგვირთვის შემდეგ, თქვენს საქმეს მიენიჭება განცხადების სარეგისტრაციო ნომერი და კოდი (რომელსაც საკონსულო გაცნობებთ). აღნიშნული ნომრის და კოდის შესაბამისად უნდა გადაიხადოთ 250 ლარის ოდენობის მოქალაქეობის მინიჭების საფასური იუსტიციის სახლთან არსებულ ლიბერთი ბანკში.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის საჭირო გემოაღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ წარმოადგინოთ საკონსულოში პირადად ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით.

გთხოვთ, ასევე, გაითვალისწინოთ რომ:

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადება და თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. სხვა ენაზე შედგენილი დოკუმენტები მიიღება სათანადო წესით დამოწმებული ფორმით, სანოტარო წესით დამოწმებულ ან საკონსულოს თანამდებობის პირის მიერ

შესრულებულ და დადასტურებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად, სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით და რეპაგრირების სტატუსის მქონე პირისთვის გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადება მიიღოს არასახელმწიფო ენაზე.

2. უცხო სახელმწიფოში გაცემული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს მაგერიალური ფორმით, სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.